ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის 2021 წლის ანგარიში.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვებსა და მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა/პოპულარიზაცია, მათი დაოსტატება სხვადასხვა სპორტის სახეობაში, კერძოდ: სულ ფუქციონირებდა 3 წრე, 1.ჭიდაობის წრე 2. ფეხბურთის წრე 3. კალათბურთის წრე. ჭიდაობის წრე მოიცავს სამ სახეობას: თავისუფალი ჭიდაობა; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა; ქართული ჭიდაობა. სამივე სპორტის სახეობაში ჩართული იყო სულ 110 ბავშვი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც მუნიციპალურ, ასევე ქვეყნის მაშტაბით გამართულ სხვადასხვა სპორტულ ღონიძიებებსა და ტურნირებში.
ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდ. ვითარების გამო, 2020 წელს დაგეგმილი 52 ღონისძიებიდან, მხოლოდ 10 სპორტულ ღონისძიებაში გახდა შესაძლებელი მონაწილეობის მიღება. თუმცა ჩატარებულ ტურნირებსა და ღონისძიებებში ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს, რაც თავის მხრივ მოტივაციას აძლევს ახალგაზრდებს ჩაერთონ სხვადასხვა სპორტის სახეობაში.
2021 წელს ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსმა მუშაობა გასწია, წინასწარ შედგენილი სპორტული ღონისძიებების გეგმით და დამტკიცებილი ბიუჯეტის შესაბამისად. თანხები ძირითადად ხმარდება მერიის მიერ უზუფრუქტით გადმოცემული შენობების მოვლას, ასევე გასახდელების და საშხაპეების მოვლა-პატრონობას, თანამშრომლების ხელფასებს, ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარებას, სპორტული უნიფორმების შეძენას,მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენას, კომუნალურებს, საკანცელარიო და სან.ჰიგიენურ მასალებს.
სკოლა სისტემეტიურად მონაწილეობას იღებს დაგეგმილ ღონისძიებებში, თუმცა 2021 წელ ასევე ვერ მოხერხდა ყველა ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო. 2021 წლის აგვისტოს თვეში მოხდა რეორგანიზაცია, სასპორტო სკოლის კომპლექსს გამოეყო ფეხბურთის განყოფილება და ჩამოყალიბდა „ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი“
2021 წელი ნაწილობრივ წარუმატებელი იყო ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, სასპორტო სკოლის კომპლექსს მუნიციპალიტეტისგან უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემული აქვს ორი დარბაზი (ჭიდაობის დარბაზი,სპორტული კომპლექსი) და ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედანი. მოგეხსენებათ საჭიდაო დარბაზი არის ავარიულ მდგომარეობაში, სახურავიდან ჩამოდის წვიმა, სველი წერტილები მწყობრიდანაა გამოსული, ასევე იყო იატაკის პრობლემაც და დაესხა ბეტონის საფარი. დარბაზს ასევე აქვს გათბობის პრობლემა და ჭიდაობის ბავშვებს ვარჯიშები უწევთ ცივ შენობაში.
რაც შეეხება ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე სპორტულ კომპლექსს ახალი გარემონტებულია, თუმცა ასევე მოსაწესრიგებელია წყლის პრობლემა, დარბაზს აქვს ღია აივანი, საიდანაც ნალექის მოსვლის დროს ჩამოდის წყალი და საჭიროებს გადახურვას, სპორტ კომპლექსში ვარჯიშები მიმდინარეობს კალათბურთში. ხელოვნურსაფარიანი ღია მოედანი 2020 წლის სტიქიის დროს დაიტბორა და მთლიანად გამოსულია მწყობრიდან, მოედანს სრულად ესაჭიროება განახლება. ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამშრომელთა დაბალი ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო)
გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთ ხსენებული პრობლემები.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო
სკოლის კომპლექსის“ დირექტორი: ტარიელ ბერელიძე

12,04,2022